სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ნოემბერი, 2023 წ.

აკადემიური საბჭოს დადგენილება №06-01/136

შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და აუდიტორიებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების შესახებ" ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 26 სექტემბრის №124 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N06-01/135 დადგენილების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 23 0001553597, 15.11.2023), აკადემიური საბჭოს რეგლამენტის და 2023 წლის 17 ნოემბრის №06-02/24 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაწესდეს შოთა რუსთაველის სახელობის ბსუ-ს სტიპენდია თვეში 500 ლარის ოდენობით (სემესტრული - 5 თვის განმავლობაში), უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ბსუ-ს წარჩინებული სტუდენტებისათვის (თითოეულ ფაკულტეტზე 1 სტიპენდიანტი).

2. ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შოთა რუსთაველის სახელობის ბსუ-ს სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის პროექტი წარუდგინონ დასამტკიცებლად ბსუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**